



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 2
25/01/2016

2-06-4-201601252100



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №2

2016 წლის 22 იანვარი
ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01.01.16 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016250) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **1 131 624,31 ლარით**:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 1109824,31 ლარი. მათ შორის

თავისუფალი ნაშთი - 518 500 ლარი

საქართველოს მთავრობის #2195 განკარგულება (სტიქია) – 6878,92 ლარი;

საქართველოს მთავრობის #1381 განკარგულება (სტიქია) – 192897,91 ლარი;

საქართველოს მთავრობის #2529 (სტიქია) განკარგულება – 78681,82 ლარი;

საქართველოს მთავრობის #506 განკარგულება – 11717,52 ლარი;

საქართველოს მთავრობის #39 განკარგულება – 270848,14 ლარი

საქართველოს მთავრობის #866 განკარგულება (სტიქია) – 17 300 ლარი;

საქართველოს მთავრობის #34 განკარგულება 13.01.2014 წელი (რეგიონალური პროექტები) – 13000 ლარი;

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **21 800** ლარით;

კერძოდ:

შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან – **21 800** ლარით;

შესაბამისად გაიზარდოს:

ა) თავისუფალი ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, გზები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 - 61.1.1.5.) – 9300 ლარით;

ბ) თავისუფალი ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 - 61.1.1.1.) – 124 000 ლარით;

გ) თავისუფალი ნაშთიდან საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები (ორგანიზაციული კოდი - 03 04 - 61.1.1.8.) – 72 000 ლარით;

დ) თავისუფალი ნაშთიდან საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 04 - 61.1.1.11.) – 8000 ლარით;

ე) თავისუფალი ნაშთიდან კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 05 02 01 – 2.2.10.14.) – 11 000 ლარით;

ვ) თავისუფალი ნაშთიდან სოციალური ღონისძიებები, სოციალური დახმარება სასაქონლო ფორმით (ორგანიზაციული კოდი - 06 02 14 – 2.7.2.2.) – 17 000 ლარით;

ზ) თავისუფალი ნაშთიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 - 61.1.1.11.) – 219 300 ლარით;

თ) თავისუფალი ნაშთიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი სუბსიდიების ნაწილში (ორგანიზაციული კოდი - 04 01- 2.5.) – 35 000 ლარით;

ი) კეთილმოწყობის ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა , არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი - 03 05 -61.1.1.2.) – 36 300 ლარით;

კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი - 01 02 – 2.2.10.10.) – 8 400 ლარით;

ლ) საქართველოს მთავრობის #2195 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა -ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 07 -61.1.1.11.) -6878,92 ლარით;

მ) საქართველოს მთავრობის #1381 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა -ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 07 -61.1.1.11.) -192897,91 ლარით;

ნ) საქართველოს მთავრობის #2529 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 03 07 -61.1.1.5.) -29580 ლარით;

ო) საქართველოს მთავრობის #2529 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, სხვა ხარჯები, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (ორგანიზაციული კოდი - 03 07 -2.8.2.2.) -49101,82 ლარით;

პ) საქართველოს მთავრობის #506 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 03-61.1.1.11.) - 11717,52 ლარით;


ჟ) საქართველოს მთავრობის #39 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 – 61.1.1.11) -270848,14 ლარით;

რ) საქართველოს მთავრობის #866 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა -ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 07 -61.1.1.11.) -17 300 ლარით;

ს) საქართველოს მთავრობის #34 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გაიზარდოს ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 03 02 04 - 61.1.1.11.) – 13 000 ლარით;

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო